ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N10.32/10/25

ქ.თბილისი 04.03.2021წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში _ ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის გაიოზ ვასაძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. სტანისლავ სტარიგინი (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი), შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

2.1.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - პრინტერების შეკეთების და კარტრიჯების აღდგენა/ დამუხტვის მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საშუალებით), რომლის აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
2.2.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 3 500 (სამი ათას ხუთასი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.3. კლასიფიკატორის კოდი - 50310000;
2.4. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2022 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები.

3.1 მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით (ეტაპობრივად).
3.2მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:
ა)დაცლილი კარტრიჯის ფხვნილით შევსებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული დეტალების (დანები, დრამი, დამმუხტავი და მაგნიტური ლილვები და ა.შ.) გამოცვლას.
ბ) მოწოდებული კარტრიჯები შეფუთული უნდა იყოს ტრანსპორტირებისთვის უსაფრთხო შეფუთვაში (სპეციალური ჰაერით გასაბერი პარკით), რომელიც უზრუნველყოფს ტრანსპორტირებისას ფხვნილის კარტრიჯიდან გადმოყრის და კარტრიჯის დაზიანების თავიდან აცილებას.
გ) აღდგენილ კარტრიჯებზე კარტრიჯის სრულ დაცლამდე ბეჭვდის ხარისხი და ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობრივი მახასიათებლები სრულ შესაბამისობაში იქნება ორიგინალი კარტრიჯის მწარმოებლის მონაცემებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით განახორციელებს საჭირო დეტალების გამოცვლას ან დაზიანებული კარტრიჯის შეცვლას ახლით.
3.3 პრინტერების აღდგენითი მომსახურება შემსყიდველის მოთხოვნიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში (თითოეული მოთხოვნიდან).
3.4 შეკეთებული მოწყობილობები მიმწოდებლის მიერ მოწოდებული უნდა იქნას შემდეგ მისამართებზე:

ა) ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზ. N18, ვეძისი, გოთუას უბნის სამსახური (განყოფილება).
ბ) ქ. თბილისი, დ/დიღომი, პეტრიწის ქ. N10, დიღომი, ვაშლიჯვარის უბნის სამსახური (განყოფილება).
გ) ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N72, კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანის უბნის სამსახური (განყოფილება).
დ) ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29, საბურთალოს რაიონის გამგეობა.

4.მომსახურების გაწევის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომელი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველსა და მიმწოდებელს უფლებამოსილ პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2021 წლის გამგეობის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით. ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან/და მომსახურების გაწევის ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
8.5საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.2ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშEკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
12.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შე საძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
13.3ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
13.4ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. სხვა პირობები

14.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

15. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საბურთალოს რაიონის გამგეობა მის: მიცკევიჩის ქ. №29 ს/კ: 205 303 820	ი.მ. სტანისლავ სტარიგინი მის:მე-8 ლეგიონის დას. კორ.1 ბ.19 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE19BG0000000941759500 ს/კ: 01012011708
გამგებელი	ი.მ. სტანისლავ სტარიგინი
გაიოზ ვასაძე	სტანისლავ სტარიგინი

ი.მ. "სლავა სტარიგინი" 01012011708

ფასების ცხრილი

NN	გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობ ა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	HP 505X/80X კარტრიჯის დამუტვა/აღდგენა	120	18.00	2160.00
2	728/78A კარტრიჯის დამუტვა/აღდგენა	60	10.00	600.00
3	Canon IR1133A ქაღალდის ზედა ამღები (ADF) მექანიზმების შეკეთება	2	50.00	100.00
4	Canon IR1133A თერმოფირის შეცვლა	2	50.00	100.00
5	Canon IR1133A რეზინის გორგოლაჭების შეცვლა	11	40.00	440.00
6	HP 1536 MFP თერმოფირის შეცვლა	2	50.00	100.00
			სულ ჯამში:	3500.00

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 4 მარტი, 2021 წელი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან (ი.მ. სტანისლავ სტარიგინთან, ს/კ: 01012011708).

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი

გ. სვანიძე